ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №259635

ნომერი: AR163655

თარიღი : 04.07.2012

გაცემის თარიღი : 11.07.2012

გაცნობის თარიღი : 13.07.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დოლიძისა და ბალანჩივაძის ქუჩებს შორის არსებული სკვერი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ კახიძე პ/ნ 01010011816
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 2 ბ. 7

ორგანიზაცია:

- შპს გასა კოდი: 404920350

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ ობიექტი მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილად, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მასზე განტავსებული კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სარეკლამო სტენდის მსგავსი სახით განთავსება სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. დასახვეწია სარეკლამო სტენდის ვიზუალური მხარე და დიზაინი. შემცირდეს მისი გაბარიტული ზომები. ასევე საყრდენი ბოძები შეიცვალოს უფრო შედარებით ვიწრო და დიზაინით უკეთესი ვიზუალით. წარწერა დაიხვეწოს და დაფის ფერიც შეიცვალოს.

- ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი გაბარიტული ზომების (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე) და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.

აგრეთვე ატვირთლ დოკუმენტაციაში გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები, კერძოდ:

1. ვინაიდან აღნიშნულ სარეკლამო სტენდზე წერილობითი თანხმობა არ გაცემულა საჭიროა ნომენკლატურაში "I კლასი აბრებისა და რეკლამების განთავსება-კორექტირება"-ს ნაცვლად აირჩიოთ "I კლასი აბრებისა და რეკლამების განთავსება ქმედებები ახალი მშენებლობა" და შევსოთ შესაბამისი ველები. ნომენკლატურის სწორად არჩევის შემთხვევაში "..სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები"-ს შევსება სავალდებულო აღარ იქნება.
2. "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება"-ს ველში თქვენს მიერ ატვირთულია სხვა დამატებითი ფოტომონტაჟი, რითაც გაურკვეველია ამჟამად მისი დანიშნულება. ფოტომონტაჟი ამოღებული იქნას აღნიშნული ფაილიდან და თუ გათვალისწინებული გაქვთ მსგავსი სამუშაოების განხორციელება, მაშინ ამ კონკრეტულ სამუშაოებზე სამსახურის მიერ უკვე გაცემულია წერილობითი თანხმობა და საკითხი დააყენეთ ცალკე კორექტირებაზე და აღნიშნული ფოტომონტაჟი ატვირთეთ შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.